# *აფიდავიტი*

ელექტრონული ტენდერის წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ:

*ჩემ მიერ წარდგენილი სატენდერო  წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად;

*მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით ჩემსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- სატენდერო წინადადების ფასი, მისი გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- შესყიდვის ობიექტის ტექნიკური/ხარისხობრივი მაჩვენებლები, რაოდენობა/მოცულობა ან/და მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;
- სატენდერო წინადადების წარდგენა/დაზუსტება ან წარდგენისგან/დაზუსტებისგან თავის შეკავება;
- ისეთი სატენდერო წინადადების/დაზუსტებული წინადადების წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს სატენდერო პირობებს.

* სატენდერო წინადადება ან მისი კომპონენტი პრეტენდენტს პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების (მისი შესაბამისი კომპონენტის) განსაჯაროების მომენტამდე;

* ჩემთვის ცნობილია აფიდავიტის მიზნებისთვის ტერმინის „კონკურენტი“ მნიშვნელობა (ნებისმიერი პირი, რომელიც არის ან შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ამ ტენდერში);

* სატენდერო პირობების დასაკმაყოფილებლად არ არის წარდგენილი მცდარი ინფორმაცია, რაც იცოდა ან უნდა სცოდნოდა პრეტენდენტს;

* სატენდერო წინადადების სახით წარდგენილი ინფორმაცია შექმნილია/მოპოვებულია კეთილსინდისიერად;

* სათანადოდ უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, სათანადოდ უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* აფიდავიტის პირობების დარღვევის შემთხვევაში პრეტენდენტი მიიღებს დისკვალიფიკაციას ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

გავეცანი აფიდავიტის პირობებს, ვეთანხმები მას და ხელმოწერით ვადასტურებ წარდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

ხელმოწერა ______________________